მემორანდუმი

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ "მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის" შორის

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ერთი მხრივ, სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში "უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურათაშორისი კომუნიკაციების განყოფილების უფროსის, Tempus-ის კოორდინატორის, პროფესორ ინდირა ძაგანიას სახით და, მეორე მხრივ, **ა(ა)იპ "მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის"** (შემდგომში "არასამთავრობო ორგანიზაცია"), წარმოდგენილი პრეზიდენტის რიტა პროკოპენკოს სახით, შემდგომში "მხარეები" თანხმდებიან თანამშრომლობის შესახებ.

დოკუმენტზე ხელმომწერი მხარეები ვაცნობიერებთ:

- უმაღლესი განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის აუცილებლობასა და მნიშვნელობას;
- შრომის ბაზრის მოთხოვნებთან უმაღლესი განათლების სისტემის მორგებულობის აუცილებლობას;
- სოციალური პარტნიორების როლს კონკრეტული პროფესიების განვითარებაში;
- ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორცილებაში.

მხარეები ვთანხმდებით შემდეგზე:

1. "უნივერსიტეტი" უზრუნველყოფს არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში "არასამთავრობო ორგანიზაციის" მონაწილეობას სტუდენტების მომზადებაში თანამედროვე და პერსპექტიული მოთხოვნების გათვალისწინების მიზნით.

2. "მხარეები" უზრუნველყოფენ შრომის ბაზარზე ორიენტირებული ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას.

3. ''უნივერსიტეტი'' უზრუნველყოფს სწავლების პროცესში ''არასამთავრობო ორგანიზაციის'' აქტიურ ჩართულობას.

4. ''უნივერსიტეტი'' უზრუნველყოფს ბიზნესს წრეების ინტეგრაციას სტუდენტის მომზადების პროცესში.

5. ''მხარეები'' უზრუნველყოფენ საწარმოებში ან სხვა სტრუქტურებში მომუშავე სპეციალისტების მოწვევას უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად.

6. ''არასამთავრობო ორგანიზაცია'' უზრუნველყოფს სტუდენტების სტაჟირებას, პრაქტიკას და მათი მიმდინარეობის სრულყოფას.

7. ''არასამთავრობო ორგანიზაცია'' ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულების დასაქმებას.

8. ''მხარეები'' ერთობლივად შეიმუშავებენ სასწავლო და სამეწარმეო პარტნიორობის წამახალისებლ მექანიზმებს.

9. ''მხარეები'' ერთობლივად უზრუნველყოფენ მემორანდუმით გათვალისწიენებული საკითხების მონიტორინგს.

მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

მემორანდუმში ''მხარეთა'' ორმხრივი შეთანხმების გათვალისწინებით შესაძლებელია ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

მემორანდუმი ძალაში შედის ''მხარეთა'' მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ''მხარეთა'' მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია ქალაქ თბილისში, 2011 წლის 13 სექტემბერს ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება ''მხარეებთან''.

მხარეთა რეკვიზიტები:

''უნივერსიტეტი''
კულტურათაშორისი კომუნიკაციების
დეპარტამენტის უფროსი
თბილისი, პოლო [illegible] 9

ა(ა)იპ ''მრავალეროვანი საქართველო
დემოკრატიული ღირებულებების
განმტკიცებისათვის'' პრეზიდენტი
თბილისი, გ. ტაბიძის 3/5.